# ბორჯომი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

24 თებერვალი
ხუთშაბათი
2022 წელი
№8 (9218)
ფასი 40 თეთრი


## შეხვედრა საზოგადოების წარმომადგენლებთან

**17 თებერვალს** სამუსიკო სკოლის სააქტო დარბაზში ახლადდაარსებული საზოგადოება „ბორჯომელების“ წევრები და ბორჯომის საპატიო მოქალაქეები შეხვდნენ ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერს **ოთარ არბოლიშვილს** და საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ **დავით ზაალიშვილს.**

შეხვედრის მიზნებზე და ამოცანებზე ისაუბრა საზოგადოების თავმჯდომარემ **ვალერიან ლომიძემ,** რომელმაც ხაზი გაუსვა ქალაქში და დაბა-სოფლებში არსებულ იმ დადებით ტენდენციებზე, რასაც მაღალი პასუხისმგებლობით ასრულებენ მუნიციპალიტეტის ახლადარჩეული ხელმძღვანელები, ამასთან ყურადღება გაამახვილა ნაკლოვანებებზეც, რომელიც შეინიშნება ქალაქის ყოველდღიურ ცხოვრებაში. გულისტკივილით აღინიშნა ის მანკიერება, რაც ბორჯომელთა ერთ ნაწილში მკაფიოდ იგრძნობა, - გულგრილი დამოკიდებულება მშობლიური ქალაქის პრობლემებისადმი.



ქალაქში დღესაც გადაუჭრელია მანკიერება პარკირების, უპატრონო ძაღლების ხეტიალის, გარევაჭრობის და სხვა პრობლემები. მთელ რიგ სოფლებში მწვავედ იგრძნობა სასმელი წყლის ნაკლებობა, რაც უპირველესად მოსახლეობის ერთი ნაწილის უყაირათობის, გულარხეინობის შედეგია. ჯერ კიდევ დაბალია საზოგადოების ერთი ნაწილის სამოქალაქო პასუხისმგებლობა იმ ღირებულებებისადმი, რომლებიც ასე აუცილებელია და სავალდებულოა თითოეული მოქალაქისადმი.

სიტყვებით გამოვიდნენ ბორჯომის საპატიო მოქალაქეები **ზაურ შერგელაშვილი, ციალა წკრიალაშვილი, ლიანა ანდღულაძე, მარიკა მურმანიშვილი, იური წერეთელი, ჯუმბერ კურტანიძე,** საზოგადოების წევრები **ლერი ხუჭუა, ზურა ქტიაშვილი** და სხვები, რომლებმაც არაერთი საგულისხმო წინადადება დააყენეს საზოგადოების როლის ასამაღლებლად.

შეხვედრაზე სიტყვებით გამოსულმა მუნიციპალიტეტის მერმა **ოთარ არბოლიშვილმა** და საკრებულოს თავმჯდომარემ **დავით ზაალიშვილმა** ამომწურავი პასუხები გასცეს შეკრებილთა მრავალრიცხოვან კითხვებს, ამასთან დაკავშირებით დადებითად შეფასდა ადგილობრივი ხელისუფლების ქალაქის საზოგადოებასთან შეხვედრა.

გადაწყდა, მსგავსი შეხვედრები სისტემატიურად გაიმართება, რაც ხელს შეუწყობს სამოქალაქო საზოგადოების შექმნა-ჩამოყალიბებას და მოსახლეობის გააქტიურებას.

## მედიკამენტებზე მაღალი ფასები მიუღებელია

**– მე ვიცი,** რომ ფარმაცევტული კომპანიები, იმპორტიორები უკვე მუშაობენ აქტიურად, რომ შემოიტანონ ხარისხიანი, იაფი მედიკამენტები თურქეთიდან და ჩემი ინფორმაციით, უახლოეს რამდენიმე კვირაში დაიწყება მედიკამენტების აფთიაქებში შეტანა. ესეც შვება იქნება ჩვენი მოსახლეობისთვის იმიტომ, რომ რეალურად, ეს ხარჯები დიდ ტვირთად აწევს ჩვენს მოსახლეობას, მაღალი ფასები მედიკამენტებზე აბსოლუტურად მიუღებელია, ამიტომ, ამაზე ჩვენ რეაგირებაც გვქონდა და გამოსავალიც ვიპოვეთ მარტივად. დანარჩენი, რაც ბატონ ზურა აზარაშვილს აქვს დაწყებული პროცესი, რომელიც შეეხება საკანონმდებლო ცვლილებას, ელექტრონული რეცეპტების დანერგვას, ეს ყველაფერი პროცესშია, ძალიან მალე, მარტიდან ჩაეშვება, ვფიქრობ, ეს შეუწყობს ხელს კონკურენციის გაძლიერებას. იმპორტიორებს უნდა გავუხსნათ გზა. მე ვიცი, რომ ბარიერები, რომლებიც არსებობდა მანამდე, მაგალითად, 45 სამუშაო დღე სჭირდებოდა მედიკამენტის იმპორტისთვის ლიცენზიის აღებას. ეს 7 დღემდე შევამცირეთ და გვინდა, რომ ბაზარი მაქსიმალურად გავხსნათ, რომ მეტმა შემოიტანოს, მეტი კონკურენცია იყოს, ნაკლებ ფასები იყოს მედიკამენტებზე და რა თქმა უნდა, ეს ჩვენ მოქალაქეებს დაუზოგავს თანხებს, - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

## პენსიების საპროცენტო განაკვეთმა 26 პროცენტამდე დაიწია

**პრემიერ-მინისტრი** პენსიონერებისთვის საბანკო პროცენტის დაწევას გამოეხმაურა. ირაკლი ღარიბაშვილმა გაიხსენა, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის დროს ეს მაჩვენებელი 100%-ზე მაღალიც კი იყო, თუმცა „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში ყოფნის დროს 36%-მდე შემცირდა.

- ჩვენ საბანკო პროცენტი მინიმუმამდე დავწიეთ, მაგრამ 36 პროცენტი მაინც მაღალია პენსიონერებისთვის. ამიტომ, შევქმენით კომისია ბატონი ლევან დავითაშვილის ხელმძღვანელობით. იმუშავეს ამ საკითხზე და შეჯერდნენ, რომ 26%-მდე დავწევთ ამ განაკვეთს და ეს კიდევ ერთი შვება იქნება ჩვენი პენსიონერებისთვის.

## სოციალურად დაუცველი მოქალაქეების დასაქმების მასშტაბური პროგრამა

**1 მარტიდან** იწყება სოციალურად დაუცველი შრომისუნარიანი მოქალაქეების დასაქმების პროგრამა.

პროგრამით ისარგებლებენ 18 წლიდან საპენსიო ასაკამდე სოციალური შემწეობის მიმღები შრომისუნარიანი პირები, რომელთაც არ აქვთ მინიჭებული შშმ სტატუსი ან არ აქვთ ჯანმრთელობის მძიმე პრობლემები.

პროგრამაში ჩართულ თითოეულ მოქალაქეს მიეცემა დამატებით 300 ლარი.

მოსარგებლეს ექნება საშუალება, აირჩიოს საზოგადოებრივი სამუშაო, ან შრომის ბაზარზე არსებული უნარ-ჩვევების გამოცდილებისა და პროფესიული განვითარების შესაბამისი ვაკანსია, ან თუ მოსარგებლე დასაქმებულია არაფორმალურ სექტორში, დასაქმების ფორმალიზება მოახდინოს და ჩაერთოს პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ქვეპროგრამებში.

საზოგადოებრივი სამუშაო არ განაპირობებს სოციალური დახმარების შეწყვეტას. მოსარგებლის ოჯახს 4 წლის განმავლობაში შეუნარჩუნდება საარსებო შემწეობა.

მოსარგებლეს შემწეობა გაუგრძელდება მაშინაც, თუ იგი არ დათანხმდება არც ერთ შემოთავაზებას, მაგრამ 1 წლის შემდეგ ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ხელახლა გადამოწმდება.

## ტრენინგები ბაკურიანში



**„მოზარდი მოხალისეების ჩართულობა პანდემიის გამოწვევების საპასუხოდ“** - ასე ჰქვია პროექტს, რომლის ფარგლებშიც მოზარდებისთვის სამი დღის განმავლობაში ბაკურიანში ტრენინგები მიმდინარეობდა.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ჰელფინგ ჰენდმა“ ამჯერად სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტების 30-მდე მოზარდი შეკრიბა და ინფორმაცია ჰიგიენის საკითხებზე მიაწოდა.

ტრენინგის ბოლოს ბორჯომის მუნიციპალიტეტის კულტურის განყოფილების წარმომადგენელი **შოთა გელაშვილი** მოხალისეებს შეხვდა და პროექტის განხორციელების პერიოდში მხარდაჭერას დაპირდა.

პროექტი UNICEF-ისა და USAID-ის მხარდაჭერით ხორციელდება.

## ღელის ნაპირსამაგრი მოწყობა

**ბორჯომის** მუნიციპალიტეტის მერიამ სოფელ ტიმოთესუბანში ღელის ნაპირსამაგრი სამუშაოების შესყიდვაზე ელექტრონული ტენდერი გამოაცხადა.

პროექტის ფარგლებში, მოწყობა 225 მეტრი ღელის ნაპირსამაგრი რკინა-ბეტონის კედლი. რისთვისაც სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტიდან 387 605 ლარს გამოყოფილი.

აღნიშნული ნაპირსამაგრი კედლის მოწყობა ძალიან მნიშვნელოვანია ადგილობრივი მცხოვრებლებისათვის, რადგან ის უხვი ნალექის დროს ჭარბი წყლისგან დამცავ ბარიერს წარმოადგენს.




## სამუშაო შეხვედრა სოფლის მოსახლეობასთან

**ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერმა ოთარ არბოლიშვილმა, მერიის სხვადასხვა სამსახურის ხელმძღვანელებთან ერთად სამუშაო შეხვედრა გამართა მუნიციპალიტეტის სოფლის წარმომადგენლებთან. თათბირზე ისაუბრეს სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით დაგეგმილ ღონისძიებებზე და ინფრასტრუქტურულ პროექტებზე. ყურადღება გამახვილდა სოფლებში არსებულ პრობლემებზე. წარმომადგენლებმა მიიღეს შესაბამისი დავალებები.**

## იგეგმება შენობის სრული რეაბილიტაცია



**ბორჯომის** საბავშვო ბიბლიოთეკის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვაზე ელექტრონული ტენდერი გამოცხადდა.

სამუშაოების ფარგლებში იგეგმება შენობის სრული რეაბილიტაცია.

ბორჯომში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროექტი - საბავშვო ბიბლიოთების რეაბილიტაცია განხორციელდება. ეს არის უკვე მოძველებული სივრცე, ამიტომ მასში სრულად შეიცვლება საკომუნიკაციო სისტემები, კარ-ფანჯარა, მოეწყობა სახანძრო სიგნალიზაცია, შეიცვლება სახურავი, მოპირკეთდება შენობის ფასადი.

ასევე, შენობას ჩაუტარდება სარემონტო სამუშაოები, - განაცხადა ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერმა **ოთარ არბოლიშვილმა.**

### გამოხმაურება

## ინფორმაცია არ შეესაბამება სიმართლეს

**ბორჯომის** მუნიციპალიტეტის მერია ეხმაურება „მთავარი არხის“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს წაღვერში მდებარე მინერალური წყლების ჭაბურღილები „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ რუსეთის მოქალაქეებზე გაასხვისა და მოსახლეობას ახლა ამ წყლებით სარგებლობის უფლება აღარ აქვს.

ბორჯომის მერია საზოგადოების ინფორმირებულობის მიზნით, განმარტავს, რომ აღნიშნული ინფორმაცია არ შეესაბამება სიმართლეს და ემსახურება საზოგადოების შეცდომაში შეყვანას, რადგან წაღვერში მდებარე მინერალური წყლების ჭაბურღილები, 2008 წელს „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებამ (მაშინდელმა გარემოს დაცვის სამინისტრომ) აუქციონის წესით 25 წლიანი იჯარით მოქალაქე რ. ნ.-ზე გაასხვისა, რომელმაც 2015 წელს 50 ათას ამერიკულ დოლარად გადასცა შპს „წაღვერს“, რომლის ახალი მფლობელები გეგმავენ, რომ მიმდინარე წლის მარტიდან, სატესტო რეჟიმში ქარხანაში მოხდეს მინერალური წლების ჩამოსხმა. მინერალური წყლის ქარხანაში ადგილობრივი მოსახლეობა დასაქმდება.

რაც შეეხება ინფორმაციას, რომ მოქალაქეებს და ტურისტებს ამ წყლებით სარგებლობა აღარ შეეძლებათ არის ტყუილი, რადგან აღნიშნულ ტერიტორიაზე წყლების ნაწილით სარგებლობის უფლება აქვს კომპანიას, ხოლო დარჩენილი ლიმიტის ათვისება მოსახლეობას შეუძლია.

კიდევ ერთი ფაქტი, რომელიც სიუჟეტშია მოყვანილი, არის შემოღობილი ტერიტორიები, რომელიც თითქოსდა იმისთვის გააკეთეს, რომ მოქალაქეებმა ვერ ისარგებლონ წყლით, სინამდვილეში კი კერძო ბიზნესს კანონი ავალდებულებს, რომ მიმდებარედ, შვიდი მეტრის რადიუსში, გაკეთდეს ღობე, რადგან დაცული იქნეს ჰიგიენურ-სანიტარიული ნორმები.

## სახელმწიფო დროშის აღმართვა




**პარლამენტში** განიხილავენ კანონპროექტს, რომლის მიხედვით, სავალდებულო გახდება სკოლებისა და ბაღების შენობებზე სახელმწიფო დროშის მუდმივად აღმართვა და სახელმწიფო გერბის სრული სახით განთავსება.

ასევე, კანონპროექტის საფუძველზე სავალდებულო გახდება საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის ტექსტის თვალსაჩინო ადგილას განთავსება სკოლებსა და ბაღებში.

პროექტის მიზანია, რომ ხელი შეუწყოს სახელმწიფო სიმბოლოების პოპულარიზაციას ზოგადსაგანმანათლებლო და სკოლამდელ დაწესებულებებში.

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პარლამენტის წევრი კახა კახიშვილი.


გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „ბორჯომი“

მწერლის ტრიბუნა

# შეაჩერეთ ავაზაკთა შთამომავლები

**ისე, როგორც ადამიანმა, ქვეყანამაც ხანდახან უნდა მოიხედოს უკან და წარსულს თვალი გადაავლოს – რაიმე შეცდომა ხომ არ დაუშვა, რაიმე ხომ არ შეეშალა?**

საქართველოში უკან მოხედვა არ უყვართ, რადგან არ არის გამორიცხული, ძალიან ბევრი ისეთი რამ დაინახო, რომლისაც შეიძლება შეგრცხვეს და თავი უხერხულად იგრძნო. ამიტომაც გვირჩევნია, წინ ვიაროთ გაშეშებული კისრით და ერთ წერტილს მიშტერებული თვალებით.

**ზოგჯერ ხდება ხოლმე – გგონია, რომ წინ მიდიხარ, სინამდვილეში კი ერთ ადგილს ტკეპნი და უკან ის წარსული გექაჩება, რომელიც დავიწყებით კი დაივიწყე, მაგრამ მარად შენთანაა თავისი ავ-კარგით.**

საქართველოს დღევანდელ რეალობას იმ რეალობას თუ შევადარებ, რომელშიც საქართველო დამოუკიდებლობის მიღებამდე ცხოვრობდა, აუცილებლად დაგებადება ბევრი კითხვა: – როდის იყო საქართველო უფრო დამოუკიდებელი და თავისუფალი – დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ თუ დამოუკიდებლობის მიღებამდე? **როდის იყო საქართველო უფრო მდიდარი, უფრო ბედნიერი, უფრო წარმატებული – დამოუკიდებლობის მიღებამდე თუ დამოუკიდებლობის შემდეგ?**

**როდის იყო საქართველოს მოსახლეობა უფრო მრავალრიცხოვანი, უფრო ლაღი და წელგამართული – დამოუკიდებლობის მიღებამდე თუ დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ?**

**როდის იყო ქართული მწერლობა, ქართული თეატრი, ქართული კინო, ქართული მხატვრობა და მუსიკა უფრო წარმატებული დამოუკიდებლობის მიღებამდე თუ დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ?**

რატომ აღმოჩნდა დამოუკიდებლობა ის მუხრუჭი, რომელმაც ქვეყნის წინსვლა და განვითარება შეაფერხა? და, საერთოდ, ნამდვილად მოვიპოვეთ თუ არა ჩვენ 90-იან წლებში დამოუკიდებლობა თუ ეს ყველაფერი ფიქცია და მირაჟი იყო?

**30 წლის** წინანდელ ამბებს რომ ვიხსენებ და დღევანდელ სიტუაციას ვაკვირდები, თითქოს არაფერი შეცვლილა იგივე ლოზუნგები და მოწოდებები, იგივე პოლიტიკური სინტაქსი, იგივე პათეტიკა, იგივე მტერი, მოყვრებად და მოკავშირეებად გამოცხადებული იგივე სუბიექტები, **იგივე ომახიანი გაუმარჯოს!**



პოლიტიკური ხასიათის ოცდაათი წლის წინანდელი და დღევანდელი თეატრალიზებული წარმოდგენებიც რომ შეადარო ერთმანეთს, თითქოს ერთი და იგივე რეჟისორის დადგმულია, მსახიობებიც იმდენად ჰგვანან ერთმანეთს, შეგიძლია, მაგალითად, ლუიზა შაკიაშვილის ნაცვლად პირდაპირ მეგი გოცირიძე ჩააწებო.

ისე, როგორც ახლა, მაშინაც რუსეთს ვეძახდით ოკუპანტს (თუმცა, იმ პერიოდისთვის რუსეთს არც აფხაზეთი ჰქონდა ოკუპირებული და არც სამაჩაბლო), ისე, როგორც ახლა, მაშინაც მტკიცედ გვჯეროდა, რომ ნატო დაუყოვნებლივ შემოვიდოდა საქართველოში, მთელი დასავლეთი რუსეთის იმპერიასთან დაპირისპირებულ პატარა საქართველოს დაუჭერდა მხარს და ასე ერთობლივად მტერს კუდით ქვას ვასროლინებდით. ოცდაათი წელი გავიდა მას შემდეგ, მაგრამ ნატოში ვერც იქით შევედით და არც ნატო შემოსულა აქეთ, არც დასავლეთს მოუკლავს თავი ჩვენი გამოქომაგებით.

**ყველაფერი იგივე დარჩა, ოღონდ ერთი შესწორებით, საქართველომ ტერიტორიის 20 პროცენტი დაკარგა, ნახევარ მილიონამდე ადამიანი საკუთარ სამშობლოში ლტოლვილად და დევნილად იქცა, ორ მილიონამდე ქართველი ლუკმაპურის საძებნელად ქვეყნიდან გაიქცა.**

თუმცა, სანამ ეს მოხდებოდა, კანონიერი გზით არჩეული ხელისუფლება იარაღის ძალით დაამხეს, ქვეყნის პირველი პრეზიდენტი მოკლეს, მოსახლეობას სოკოებივით ერთბაშად ამოყრილი ბანკები მიუსიეს საძარცვავად და დასამარხად გადანახული უკანასკნელი გროშები ამოაცალეს ჯიბიდან. ამას დაუმატეთ მიმოქცევაში კუპონის გაშვება და პრივატიზაციის დანაშაულებრივი პროცესი, რამაც საბოლოოდ გააკოტრა ქვეყანა.

ამ ეროვნულ ტრაგედიას პარალელურად მეორე ეროვნული ტრაგედია მოჰყვა ქართულ აფხაზური კონფლიქტი, ქართველების გენოციდი, სამასი ათასი ქართველის გამოდევნა აფხაზეთიდან, ქვეყნის ინფრასტრუქტურის სრული გაჩანაგება, ფაბრიკების, ქარხნების, საწარმოების ნგრევა და გაპარტახება. სანამ ბოლო აგურამდე არ დაინგრა ყველაფერი, სანამ ბოლომდე არ გავნადგურდით, მანამდე არავის გამოუხედავს ჩვენსკენ, მათ შორის არც იმათ, რომლებიც გვამხნევებდნენ, გვაქეზებდნენ, გვაიმედებდნენ – ოღონდ თქვენ იბრძოლეთ, ოღონდ ბოლომდე მიაწექით ამ ოკუპანტ რუსებს და ყოველმხრივ გვერდით დაგიდგებით და ფარად აგეფარებითო.

**რა ფარი, რისი ფარი, ზერელედ და გულსგარეთ ნათქვამი „შეშფოთება-აღშფოთების“ იქით საქმე არ წასულა, თუმცა, თავიანთი ინსტრუქტორების ჩუმ-ჩუმად შემოყვანა და სახელმწიფო სტრუქტურების სხვადასხვა რგოლებში ზედამხედველებად და ჭკუისმასწავლებლად ჩასმა არ დავიწყნიათ.**

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიერ მთავარ სტრატეგიულ ამოცანად დეკლარირებული მკვეთრად ანტირუსული განწყობა ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, თითქოს მთავარი მიზანი დამოუკიდებლობის და სუვერენიტეტის აღდგენა კი არა, რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლა, მის დასუსტებაში აქტიური მონაწილეობის მიღება იყო, რაც ძალიან ჰგავდა დასავლეთის ფარულ დაკვეთას, არადა, რამდენად სწორი იყო რუსეთის მიზანში ამოღება და მისი მტრის ხატად გამოცხადება, მაშინ, როცა საბჭოთა კავშირი ინგრეოდა და თვით რუსეთიც ისე, როგორც სსრკ-ში შემავალი სხვა რესპუბლიკები, დაჟინებით ცდილობდა საბჭოთა იმპერიიდან თავის დახსნას? საქართველომ უზარმაზარ სახელმწიფოსთან კონფრონტაციის და დაპირისპირების გზა აირჩია. ვუტევდით რუსეთს და თითქოს ვცდილობდით, წონასწორობიდან გამოგვეყვანა და თავისი ნამდვილი ძალა გამოეაშკარავებინა მკაცრი, ულმობელი, სასტიკი ძალა, რომელიც ერთხელ თუ დაიძრა, მერე მისი შეჩერება აღარაფერს შეუძლია. და მაინც, იყვნენ ადამიანები, ვინც ამ საყოველთაო ალტყინებისა და ეიფორიის ჟამს პრაგმატულად აზროვნების უნარს ინარჩუნებდნენ და ხელისუფლებას, ხალხს, მთელ ქვეყანას აფრთხილებდნენ რომ რუსეთის წინააღმდეგ უკომპრომისო დაპირისპირება შეიძლებოდა ბუმერანგივით მოგვბრუნებოდა უკან, თუმცა, ქვეყნის გულშემატკივრის პოზიციიდან გაჟღერებული ეს გაფრთხილებები უკიდურესად აგრესიულად აღიქმებოდა ადამიანთა გარკვეული ჯგუფებისაგან. მოკლედ, ზუსტად ის სიტუაცია იყო, რაც დღეს, როცა მავანი რუსეთის აგენტს ეძახის ადამიანებს, რომლებიც წინდახედულობისა და სიფრთხილისკენ მოუწოდებენ ქვეყანას. ისიც ფაქტია, რომ მათ, რომლებიც ვითომ რუსეთს ებრძოდნენ და წესიერ ადამიანებს რუსეთის აგენტებს ეძახდნენ, ომის დამთავრების შემდეგ სწორედ რუსეთს მიაშურეს და რუსეთმაც ფართოდ გაუღო მათ სხვებისთვის მჭიდროდ დაგმანული კარები. აი, ესენიც, დღეს საქართველოს პარლამენტის წინ ხმაშეწყობილად რომ ბღავიან „რუსეთი ოკუპანტია!“ და ის პოლიტიკოსებიც ნაცმოძრაობიდან, რომლებიც პროდასავლურ ორიენტაციას აწვებიან და უკრაინის მოქალაქეც გლდანის ციხეში რომ აფხარკალებს ფეხებს, რუსეთის აგენტურაა, რუსეთის მეხუთე კოლონა და თუ საჭიროება დადგება, მათაც ისევე ჩაიხუტებს გულში რუსეთი, როგორც მათი წინაპრები ჩაიხუტა 90-იან წლებში.

**გასულ კვირას, როცა კიდევ ერთხელ იქცა მწვავე დისკუსიის საგნად უკრაინისა და საქართველოს ნატოში გაწევრიანების საკითხი, ერთმა მაღალჩინოსანმა დასავლეთიდან ნათლად და გარკვევით გვითხრა: საქართველო ჯერჯერობით ნატოს წევრი ვერ გახდება, რადგან თქვენთან პოლიტიკურად არასტაბილური სიტუაციააო. გამოდის, რომ ნაცმოძრაობა, ეს ვითომდა პროდასავლური ძალა, წლებია, მხოლოდ იმაზე მუშაობს, რომ საქართველო ვერც ნატოში გაწევრიანდეს, ვერც ევროკავშირში შევიდეს. მოკლედ, ვერც წინ მივდივართ, ვერც უკან ვბრუნდებით და ორმაგ ჩიხში ჩაჭედილებს ხან კუბილიუსი გვიკითხავს დემოკრატიის შესახებ ლექციებს, ხან კელი დეგნანი, ხან ფოტიგა, ხან – შარლ მიშელი, რომლებსაც ხშირ-ხშირად ავიწყდებათ, რომ უძველესი ცივილიზაციის და კულტურის დამოუკიდებელი სახელმწიფო ვართ და არა ორიოსანი მოწაფე, რომელსაც საშემოდგომო გამოცდა გამოაყოლეს.**

**ასე ქმნით ამათ დემოკრატია – გადააბრუნებ – თეთრია, გადმოაბრუნებ – შავი, ადამიანების მწამებელი დემოკრატი ის შუქურაა, ავაზაკი, ხაზინის ქურდი, პარლამენტზე იერიშის მიმტანი პოლიტპატიმარი. ჩვენ კი ვდგავართ და ომახიანად ვმღერით „თავისუფლება დღეს ჩვენი მომავალს უმღერს დიდებას, ცისკრის ვარსკვლავი ამოდის და ორ ზღვას შუა ბრწყინდება“.**

**რა თავისუფლება, რისი თავისუფლება, რა ვარსკვლავი, რისი ვარსკვლავი, როცა დამოუკიდებლობის მიღებიდან ერთ წელიწადში დინების საწინააღმდეგოდ ცურვაში დაგვდეს ბრალი და განაჩენიც გამოგვიტანეს.**

**ახლა იგივეს გამეორებას ცდილობენ იმ ავაზაკების შთამომავლები, ხოლო მათი ბელადი, მთავარი ავაზაკი, გლდანის ციხიდან ახალ-ახალ ინსტრუქციებს და დირექტივებს აგზავნის, თუ როგორ უნდა დაამხონ ხელახლა ეს ერთხელ უკვე დამხობილი და ფეხზე წვალებით წამომდგარი ქვეყანა.**

**გამაგებინეთ, სასჯელს იხდის ეს კაცი თუ რევოლუციური შტაბბინა აქვს გახსნილი ციხეში?**

**ბარემ, ისიც გამაგებინეთ, ეს ის კაცი არ არის, ზვიად გამსახურდიას კავკასიის სადამ ჰუსეინს რომ ეძახდა, ახლა კი თავის თავს გამსახურდიას ადარებს?**

**ვახტანგ ხარჩილავა**

(იბეჭდება შემოკლებით)

ჟურნალისტის სვეტი

## მრევლი არ ივიწყებს...

**მირქმა – 15 თებერვალი, თითქმის 20 წელი ჩვენს ხეობაში განსაკუთრებული სიყვარულის მადლით აღინიშნებოდა: იმართებოდა საპატივსაცემო კონცერტები, რომლებსაც ესწრებოდა გულწრფელად შეკრებილი მრევლი, თითქმის საზოგადოებრივი აქტივობაც ამ დღეს ბევრად მომართული აუცილებლობა იყო, მაგრამ ეს იყო წარსულში... უკვე მეექვსე წელია, რაც ბორჯომ-ბაკურიანის მეუფე სერაფიმე წასულია ჩვენი ეპარქიიდან, თუმცა მრევლი, ერთგული ადამიანები ყოველწლიურად ულოცავენ მას დაბადების დღეს იქ, სადაც არის. ეს შეხვედრა კი სულიერი ზეიმია. წელს 60 წელი შეუსრულდა. საიუბილეო თარიღს მას საკმაოდ ბევრი ბორჯომელი ულოცავს საჯაროდ სოციალური ქსელის საშუალებით. ერთხელ, მახსოვს, სცენაზე ასულმა ბორჯომელ საზოგადოებას ამცნო უბრალო ღიმილითა და მოკრძალებით, რომ წმ. ნიკოლოზის ტაძრის ეზოში, დიდ ხესთან თუ დამკრძალავთ, ძალიან გამიხარდებაო... რაღაცნაირად შეცბა დარბაზი, გაიფიქრეს: განა, როგორ უნდა უყვარდეს ბორჯომი-ქალაქი, რომ ამას ამბობს სოხუმელი დევნილი სასულიერო პირი?! დღეს, როცა ასე ჩასაფრებულია „მომწამვლელი“ პროპაგანდის გამავრცელებელი ტელემედია სივრცეები, ძნელია გაბედო და მასზე, როგორც გამორჩეულ მწყემსმთავარზე დაწერო რაიმე, გააჟღერო თუნდაც, დამოკიდებულება. განა, რა იქნება ადგილობრივმა ხელისუფლებამ მრევლის მხარდაჭერით დოკუმენტალურად მოითხოვოს ეპარქიის სათავეში დაბრუნდეს „სიმართლისათვის დევნული“ სერაფიმე? გულში ამგვარად მაფიქრებელნიც ბევრნი არიან და ხელმოწერების შეგროვებასა და თხოვნის ხასიათის წერილის გაგზავნას აპირებენ საქართველოს საპატრიარქოში, რა უდგას წინ? მონდომება, სიფრთხილე და სურვილი! ერთად შევიმუშაოთ ტექსტიც, განვჭვრიტოთ აუცილებელი არგუმენტები – რა სიკეთე შეიძლება დადგეს ჩვენი ეპარქიისთვის ამის აღსრულების შედეგად და დაცარიელებული გულები კვლავ ავივსოთ ღვთისმიერი სიყვარულით. მავანი აქაც მომიბრუნდება და მკითხავს: განა, მის გარეშე ვერ დავდივართ ტაძრებში, ვერ ვესწრებით წირვა-ლოცვას, ვერ ვდგავართ სულიერი შვილები ღმერთის სამსახურშიო?!.. თქვენს ქმედებას, მათ შორის, ჩემ თავსაც აკლია გამოუთქმელი მადლი სიხარულისა... წრფელი თვალების მზერა, საიდანაც სიმშვიდე გადმოდის. არც გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ მისი სოციალური აქტიურობა, ღონისძიებებში გამოჩენა, უშუალობა ყველა ბორჯომელისთვის როგორც აქტი, იყო სხვანაირად ემპათიური, რომელიც დღეს ნამდვილად გვაკლია.**

**ვულოცავ მეუფეს 60 წლის იუბილეს და ვუსურვებ მხნეობას, ჯანმრთელობას, მოთმინებას, ჩვენგან ულევი სიყვარულის გამრავლებას.**

მონიკა ჭანტურია.

გამოხმაურება

# „მესიის მახვილი“ – დავით აღმაშენებელი

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 7 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებული წერილით საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა** რონ მეტრეველმა **ქართველ ხალხს მოუწოდა: 2023 წელი, როდესაც დავით აღმაშენებლის დაბადებიდან 950 წელი სრულდება, გამოცხადდეს დავით აღმაშენებლის წლად“! მივესალმები ამ მოწოდებას!**

დავით IV – **დავით ბაგრატიონი – აღმაშენებელი – ყველაზე დიდი მეფეა ქართველ მეფეთა შორის!** მან დაიწყო და დაამკვიდრა „ოქროს ხანა“ ქართული სახელმწიფოებრიობისა, რომელმაც სულ რაღაც 150 წელი გასტანა, მაგრამ ასეთი „ოქროს ხანით“ იამაყებდა მსოფლიოს ნებისმიერი დიდი სახელმწიფო. **„ოქროს ხანამ“ „წარმოშვა“ ქალი მეფე – თამარ-მეფე,** რომლის გამეფებაც უპრეცედენტო მოვლენა იყო იმდროინდელ მსოფლიოში.

**რაც მთავარია, ქართული სახელმწიფოებრიობის ამ „ოქროს ეპოქაში“ იშვა მსოფლიო პოეზიის ბაჯაღლო ოქრო და გვირგვინი – შოთა რუსთაველი!**

**დავით IV დიდია არა მხოლოდ იმით,** რომ მან განავრცო საქართველო „ნიკოფსიიდან დარუბანდამდის“, არამედ ყველა იმ წვრილმან-მსხვილმანი რეფორმებითაც, რაც მან ჩაატარა თავისი მეფობის 36 წლის მანძილზე.

**დავით IV დიდია თავისი სიმკაცრით.** მან „სარზე გასვა“ ურჩი ფეოდალები. ეს მართლაც წარმოუდგენელი სიმკაცრეა, მაგრამ, როგორც ჩანს, სხვა გზა არ ჰქონდა მეფეს, სხვანაირად „ძაღლის კუდი არ სწორდებოდა“, ურჩებს ამის გარეშე ვერ მოარჯულებდა! ცნობილია ქართველი ფეოდალების, ქართველი ერისთავების თავგასულობა ნებისმიერ საუკუნეში. ყველას თავი პატარა მეფედ წარმოედგინა. ამიტომ იყო, რომ ქართლის (საქართველოს ცხოვრებაში) ხშირად „ციხე შიგნიდან ტყდებოდა“. დავით მეფემ კი ყველა ერისთავი თავის მტკიცე მეფურ ნებას დაუმორჩილა. რუის-ურბნისის საეკლესიო კრებით იგივე გააკეთა საეკლესიო ცხოვრებაშიც. ურჩი ეპისკოპოსები მოაშთო, ერის მწყემსმთავრად ჭყონდიდელი „დასვა“, რომელსაც მწიგნობართუხუცესობაც უბოძა.

**დავით IV დიდია თავისი ორგანიზატორული ნიჭით.** ეს, პირველ ყოვლისა, გამოიხატა მუდმივი ქართული ჯარის შექმნით. მან 40 ათასი ყივჩაღი გადმოასახლა ჩრდილოეთ კავკასიიდან, რათა ქართული მუდმივი ჯარი გაძლიერებულიყო. იგი არა მარტო იბრძოდა, ქვეყნებს იპყრობდა, არამედ მან „დაამშვიდა ქვეყანა... **განავრცო და აღაშენა** ყოველი ოხერ-ქმნილი“. ამიტომ შეარქვეს **„აღმაშენებელი“.**

**დავით IV დიდია, როგორც მთავარსარდალი.** იგი დიდგორის ომის შემოქმედია. 1121 წლის 12 აგვისტოს, როდესაც ჯერ კიდევ თბილისი (ტფილისი) სპარსთა ოთხასწლოვანი უღლისაგან არ ჰქონდა გათავისუფლებული, მან დიდგორთან დაამარცხა მუსლიმთა კოალიციური ლაშქარი, რომელიც რაოდენობით ქართველთა ლაშქარს 5-ჯერ ამეტებდა.

არა მხოლოდ თვითონ იყო „უშიშო, ვითარცა უხორცო“, არამედ დიდგორის ომის წინ თავისი გენიალური მოწოდებით გაამხნევა ლაშქარი. მებრძოლთა გამხნევებას ემსახურებოდა უკან დასახევი გზის მორებით ჩახერგვაც. ბრძენმა მთავარსარდალმა ეს სპეციალურად გააკეთა, რათა ყოველგვარი შიში ჩაეკლა მეომრების გულში და ერთადერთი დევიზით დაემუხტა: **„ან – გამარჯვება, ან – სიკვდილი!“.**



უშუალოდ ბრძოლის დაწყებაც გენიალურად დაგეგმა. ეფექტიანობის და მოულოდნელობის მისაღწევად და მოსახდენად ასეთ ხერხს მიმართა: ვითომ მტრის მორჩილების მიზნით 200 გულოვანი მებრძოლი შეუშვა მტრის გულში. იქ 200-მა მხედარმა უცებ დაიწყო მტრის ჩეხვა, ამავე დროს მეფემ შეტევა დაიწყო ფლანგებიდან. მტერი განადგურებული და უკუქცეული იქნა. დღეს დიდგორის ომს სწავლობენ მსოფლიოს ყველა ქვეყნის სამხედრო აკადემიებში.

**დავით აღმაშენებელი დიდია თავისი სიბრძნით, განათლებულობით.** ჯერ მარტო გელათის აკადემიის დაარსება რად ღირს, რომელიც ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოს აკადემიებს შორის. მის კალამს ეკუთვნის გენიალური „გალობანი სინანულისანი“, რომელიც „ქრისტიანული საკაცობრიო სევდის გამომხატველი ძეგლია“ (რონ მეტრეველი).

**დავით აღმაშენებელი დიდია თავისი ტოლერანტობით, რჯულთშემწყნარებლობით.** მის მიერ შექმნილ მრავალეროვან სახელმწიფოში ნებისმიერი რჯულის ადამიანი ხარობდა და „იშვებდა“...

**და ბოლოს, დავით IV დიდია თავისი ანდერძითაც,** რომ იგი დაეკრძალათ გელათის მონასტრის შესასვლელ კართან, რათა ყველა მლოცველს მის გულზე გადაევლო. ***„გულზე დამადგით, ფეხი დამადგით გულზე ყოველმან“ (ანა კალანდაძე).***

დავით აღმაშენებელი ქართულმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა.

**უჩა ჯანგირაშვილი.**

**P.S. ყოველ წელს ისე როგორ იქნებოდა, რომ 8 თებერვლის წინ, რომელიც დავით აღმაშენებლის მოხსენიების დღეა, ჩვენი გაზეთისათვის დავით აღმაშენებელზე წერილი არ მოეტანა მის უდიდეს თაყვანისმცემელს, ჩვენი ქალაქის მკვიდრს, ღვაწლმოსილ პედაგოგს კაკო ჯაფარიძეს**. **უკვე 8 წელია ბატონ კაკოს ჩვენი გაზეთისათვის წერილის მოტანა სამუდამოდ უგვიანდება! თანაც როგორ გაიხარებდა ბატონი რონ მეტრეველის (რომელსაც ბატონი კაკო ახლოდან იცნობდა) ინიციატივაზე, რომ 2023 წელი გამოცხადდეს დავით აღმაშენებლის წლად!**

**ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული!**

**უ.ჯ.**

# საცხოვრებელი სახლი დევნილებისთვის

**თემაზე,** რომელზეც უნდა გესაუბროთ, ბევრჯერ დამიწერია. ლამის, 29 წელია, რაც დევნილ მოსახლეობას იფარავს ყოფილ სანატორიუმებში ჩვენი კეთილი ბორჯომი. ბევრია მათი რიცხვი, თუმცა თავშესაფარი ბევრს უკვე საკუთრებაშიც დაუმტკიცდა. აქამდე კი იყვნენ დარჩენილნი ის დევნილები, ვინც დღემდე, ამ წუთამდე ცხოვრობს გაუსაძლის საყოფაცხოვრებო პირობებში; ავარიული შენობები თითქოს დღეებს და წამებს ითვლის, რომ კედლებმა ვინმე არ მოიყოლოს, ნებისმიერი გადაადგილება სახიფათოა. ამ დროს პირადი მაგალითები ბევრად სარწმუნოა და გეტყვით: დეიდასთან როცა მიწევს სტუმრად მისვლა, ვცდილობ, ბავშვი არ გავიყოლო. საშიშია. შედიხარ ბნელ, უსახო შენობაში, ჩამონგრეული კიბით, ან - კიდევ უარესი - ნაგავსაყრელი ფართი შესასვლელ დერეფნადაა გადაქცეული. იფიქრებ: ვინც შევიდა, ნეტავ, თუ მშვიდობით აიარა თავის სართულამდე? ან, ასე რამ დაგვიკარგა თავმოყვარეობა? სიმართლეც უნდა ითქვას, რადგან ჩემი სუბიექტურობა არ გამორიცხავს ვიყო ობიექტურიც: თავის დროზე ეს ყოფილი სანატორიუმები - „ლიკანი" და „ბორჯომი" სტუმრებისთვის სავიზიტო ბარათი იყო, დიდებულად მორთულ-მოკაზმული. დევნილების მოსვლის შემდეგ რამდენიმე წელში გაჭირვებამ, სიცივემ არაერთი ვანდალური ფაქტი ჩაადენინა გამოხიზნულ ხალხს. მათ ეგონათ, უთუოდ, ერთ-ორ წელიწადში ჩვენს მშობლიურ სახლებს დავუბრუნდებითო და არ მოერიდნენ პარკეტის აყრას შეშისთვის, ალუმინების დახსნას გასაყიდად, ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, მაგრამ ცოდვა გამხელილი სჯობსო. არ ეგონათ, რომ ამდენი წელი აქ მოუწევდათ ყოფნა, ცხოვრების აწყობა, დამკვიდრება... ბევრი რომ აღარ გამიგრძელდეს, იმას მაინც გეტყვით, თუ ვინ აქტიურობდა და ვინ დააჩქარა ეს პროცესები, ვინ გამოანახინა მიწა ბორჯომში და როგორ გულისხმიერად მოეკიდა ამ საკითხის მოგვარებას ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო.

დევნილები ამ წლების მანძილზე ძალიან აქტიურად მოითხოვდნენ ალტერნატიული ფართის გამოყოფას დევნილთა სამინისტროში. დაიწერა არაერთი მიმართვა, განცხადება, წერილი მათი სახელით, რომ იქნებ, სადაც არიან დამკვიდრებული - ჩვენს ქალაქში მოინახოს საჭირო მიწა კორპუსის ასაშენებლად. მათ კატეგორიულად არ უნდოდათ მეორედ გაევლოთ ლტოლვილობა სადმე სხვა კუთხეში, ან ქალაქში, რადგან ყველაფრის ნულიდან დაწყება, მოგეხსენებათ, ძნელია და შეთვისებულ ადგილს აღარაფერი სჯობია ამ ეტაპზე. ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზედ განთავსებული შენობა-ნაგებობების სახელმწიფოსთვის გადაცემას. ახალ უბანში, რობაქიძის ქუჩის მიმდებარედ, აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე დაიგეგმა დევნილებისთვის საცხოვრებელი სახლის აშენება და საკუთრებაში გადაცემა.

**დავით ზაალიშვილი, ბორჯომის საკრებულოს თავმჯდომარე:** ახალ უბანში, სადაც ადრე, დასუფთავების სამსახურის მანქანები იყო განთავსებული, ასევე მის მიმდებარედ არის ყოფილი ვეტლაბორატორიის შენობა, რომელიც გაერთიანდება და დევნილებისთვის აშენდება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი. ტერიტორიაზე მოეწყობა სკვერი და დასასვენებელი სივრცე.



მშენებლობა სავარაუდოდ მარტიდან დაიწყება და საერთო ჯამში დაკმაყოფილდება დაახლოებით 126 დევნილი ოჯახი.

ამაზე კარგ ამბავს, ალბათ, სიურპრიზადაც ვერ გაიგებდნენ ბორჯომში მცხოვრები დევნილები. შეგიფაროს, შეგითვისოს უცხო კუთხემ, შეგიყვაროს და კიდეც დაგასახლოს - ეს ხომ დიდ მადლიერებას მოითხოვს?!. **ჰოდა, მთელი დევნილების სახელით უდიდეს მადლობას გეუბნებით ამ გადაწყვეტილებაზე ხელმომწერთ. მართალია, კვლავ დროებით დევნილებად თვლიან თავს და მუდმივ მოლოდინში არიან, რომ ერთ, მზიან დღეს დაუძახებს მიწის სურნელი საკუთარი კუთხიდან მონატრებულებს. თუმცა... ეს ჯერ კიდევ ნაადრევია და მანამდე ხომ უნდა გაგრძელდეს ფერმკრთალი ცხოვრება ელემენტარული, უსაფრთხო საყოფაცხოვრებო პირობებით.**

გაითვალისწინეს ეს მოცემულობა და რამდენჯერმე ესტუმრა თავად დევნილებს სსიპ-დევნილთა, ეკო-მიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოდან შიდა ქართლის, სამცხე-ჯავახეთის და მცხეთა-მთიანეთის სამმართველოს უფროსი, ბატონი **ბერდია ფიცხელაური.** მან ჩვენთან საუბრისას გვითხრა, რომ სიკეთეს ჩუმად აკეთებს და არ უყვარს ზედმეტი აფიშირება. **„ოღონდ მათ ბინები გამოვუყოთ და მე მზად ვარ, შემდეგ საზეიმოდ აღვნიშნო ეს ამბავიო".** ადამიანურად გვერდით ედგა მათ და ერთობლივი მონდომებით დადგა 2022 წლის 11 თებერვალი, როდესაც ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გაიმართა, სადაც დეპუტატებმა კენჭი უყარეს,

**მონიკა ქანტურია**

ჩვენი ვეტერანები

# ისინი ცხოვრებას ალამაზებდნენ

**გასული საუკუნის 70-80-იან წლებში ბორჯომში და მთლიანად მთელ ხეობაში, ახალდაბიდან ქვაბისხევამდე, ბორჯომიდან ციხისჯვარ-ტაბაწყურემდე ფართო სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობდა, რომლის სულისჩამდგმელები რაიონის მაშინდელი ხელმძღვანელები იყვნენ.**

**ვისაც კარგი მახსოვრობა აქვს, ადვილად მიმიხვდება სათქმელს. ამ პერიოდში მართლაც ბევრი მნიშვნელოვანი ობიექტი აშენდა, ან ძირეული რეკონსტრუქცია ჩაუტარდა ძველ ამორტიზებულ შენობა-ნაგებობებს.**

**აღნიშნული შესავალი იმიტომაც გავაკეთე, რომ მკითხველმა ადვილად გამიგოს, თუ რის თქმა მინდა.**



ფართომასშტაბიან ალმშენებლობით სამუშაოებს კი სხვა კომპონენტებთან ერთად უთუოდ ჭირდებოდა სამშენებლო მასალების დროული მიწოდება, რაც სატვირთო ავტოსაწარმოს შრომითი კოლექტივის თავდაუზოგავი შრომის გარეშე ძნელად მისაღწევი იქნებოდა.

დიახ, მაშინდელი სატვირთო ავტოსაწარმოს მშრომელებს, რომლის დირექტორი ბატონი **გივი დიასამიძე** და მთავარი ინჟინერი **გურამ ფოცხიშვილი** იყვნენ, დღენიადაგ ილწოდნენ იმისათვის, რომ არამარტო გაზრდილი საგეგმო დავალებები შეესრულებინათ, არამედ, სატვირთო ავტომობილების გამართულ მდგომარეობაზეც ეფიქრათ და სხვა არაგეგმიური დავალებებიც შეესრულებინათ.

ყოველივე აღნიშნული კი ადვილი საქმე არ იყო. ჩვენი რაიონის რელიეფი, მაღალმთიანი დასახლებული პუნქტები, არც თუ კარგი გზები ავტოსაწარმოს მძღოლებს დამატებით პრობლემებს უქმნიდა.

სწორედ აქ ვლინდებოდა ავტოსაწარმოს დირექტორისა და მთავარი ინჟინრის ორგანიზატორული უნარები, მძღოლებისათვის სათანადო შრომის პირობების შექმნა, სარემონტო სახელოსნოს გამართული მუშაობა, ავტოსათადარიგო ნაწილებით საწარმოს დროული მომარაგება, ყოველდღიურად საწვავ-საცხები მასალების მომარაგება-ხარჯვის გაკონტროლება და ბევრი სხვა ნიუანსი და წვრილმანი, რომლებიც გარედან არც თუ ისე კარგად ჩანდა, მაგრამ არ მახსოვს (მაშინ რაიონულ დონეზე საკმაოდ წარმომადგენლობითი თათბირები იმართებოდა), დირექტორს ბატონ გია დიასამიძეს ან მთავარ ინჟინერს ბატონ გურამ ფოცხიშვილს (რომელიც ამ 6 თვის წინ გარდაიცვალა) როდისმე დაეჩივლოთ, ამა და ამ მიზეზით ეს საქმე ვერ გაკეთდებაო. პირიქით კი იყო, პირადი მაგალითით აღაფრთოვანებდნენ თანამშრომლებს, მძღოლებს, ტექნიკურ პერსონალს, საშუალო და მაღალი დონის ხელმძღვანელობას, საგეგმო დავალებათა შესასრულებლად.

თითქმის ნახევარსაუკუნოვანი შრომითი საქმიანობის პერიოდში მრავალ ხელმძღვანელთან მქონია საქმიანი და მეგობრული ურთიერთობა, ასევე იყო გ. დიასამიძის და გ. ფოცხიშვილის შემთხვევაშიც, მაგრამ მსგავსი ტიპის მორიდებულ, მოწესრიგებულ, დისციპლინირებულ და საქმეზე ორიენტირებულ ხელმძღვანელებს ძნელად თუ გაიხსენებს ადამიანი.

ორივე კვალიფიციური და პროფესიული ავტოინჟინერი იყო და სულსა და გულს დებდნენ საქმეში. ავტოსაწარმოს რამდენიმე ჰექტრიანი ფართობი მუდამ სისუფთავით და წესრიგით გამოირჩეოდა, ცალკე იყო დასვენების ზონა და ა.შ.

ზემოთ სიტყვა მორიდებული გამოვიყენე და არ შემრცხვება ამ სიტყვებს თუ კიდევ ერთხელ ხმამაღლა ვიტყვი, რომ ბატონი გივი დიასამიძეც და ბატონი გურამ ფოცხვერაშვილიც უაღრესად მორიდებული, კულტურული, განათლებული ხელმძღვანელები იყვნენ.

ასეთებად დარჩნენ დღევანდლამდე, მიუხედავად იმისა, რომ ისინი დამსახურებულ პენსიაზე იმყოფებიან. ვალმოხდილებს ამყაად შეუძლიათ საქმეები და უანგარო შრომითი საქმიანობა დღესაც ახსოვთ მათი თაობის ადამიანებს, ასეთ ადამიანებს უნდა იცნობდნენ და პატივს სცემდნენ მომავალი თაობები, რამეთუ მხოლოდ დადებით მაგალითზე უნდა გაიზარდოს ახალგაზრდობა.

ყოველივე ზემოთ ნათქვამს დავუმატებ იმსაც, რომ გია დიასამიძემ და გურამ ფოცხიშვილმა მტკიცე, ქართულ ოჯახებში საამაყო შვილები დაზარდეს და ახლა ისინი აგრძელებენ მშობლების გაკვალულ გზას.

ორივე ღვაწლმოსილი ჩვენი მეგობრები თავისი განვლილი ღვაწლი უთუოდ ალამაზებენ ჩვენს ცხოვრებას. რომელსაც სჭირდება ოპტიმიზმი, სულის სიმხნევე, თავდადება და შრომის ღირსეული დაფასება.

**თემურ ხუხუნაიშვილი,**
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.

აქტუალური ინტერვიუ

# ისტორიული პარკი – სტუმრების მოლოდინში

**ბორჯომის ცენტრალურ ისტორიულ პარკში რამდენიმე წელია გარკვეული სახის ცვლილებები ფაქტიურად არ განხორციელებულა. ბოლო 2 წლის მანძილზე, პანდემიის პირობებში, პარკის ვიზიტორებს ტერიტორიის დათვალიერება უფასოდ შეეძლოთ. 2022 წლიდან კი აღნიშნული მიმართულებით გარკვეული სახის ცვლილებები განხორციელდა, თუმცა პარკის დათვალიერება გარკვეული კატეგორიის პირთათვის კვლავაც უფასო იქნება. ზემოთ აღნიშნული საკითხისა და სხვა მნიშვნელოვანი პროექტების შესახებ სასაუბროდ პარკის ახალ დირექტორს ბატონ ლერი ბელაშვილს გავესაუბრეთ:**

**● ბატონო ლერი, უპირველესად გილოცავთ ახალ, მეტად საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დანიშვნას. მიუხედავად იმისა, რომ სეზონის გახსნამდე წინ საკმაოდ ბევრი დროა დარჩენილი,**



**ლიდ: ბორჯომის ცენტრალურ (ისტორიულ) პარკს ახალი დირექტორი ჰყავს. ლერი ბელაშვილი აღნიშნულ თანამდებობაზე პოლიციის სისტემიდან მოვიდა. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება.**

**2001-2002 წლებში მუშაობა დაიწყო ბორჯომის რაიონულ განყოფილებაში რიგით თანამდებობაზე.**

**2002 წლიდან 2005 წლამდე მუშაობდა ბორჯომის რაიონულ სამმართველოში, სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილებაში, ინსპექტორის თანამდებობაზე, 2005-2007 წლებში ბორჯომის რაიონულ სამმართველოში, კრიმინალური პოლიციის განყოფილებაში, ინსპექტორ-გამომძიებლის თანამდებობაზე იღვწოდა.**

**2007 წლიდან, დღემდე მუშაობდა ბორჯომის დაცვის პოლიციის განყოფილებაში ინსპექტორის თანამდებობაზე.**

**წოდებით პოლიციის მაიორია. ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.**

**რამდენად მომზადებული შეხვდება ბორჯომის ისტორიული პარკი დამსვენებლებს? რა სახის ღონისძიებები განხორციელდება 2022 წელს საკურორტო სეზონის სრულყოფილი მომსახურებისათვის?**

- მოგეხსენებათ, რომ ბორჯომის ცენტრალური ისტორიული პარკი, არამარტო ჩვენი ქალაქის, არამედ, ჩვენი ქვეყნის სავიზიტო ბარათს წარმოადგენს. შესაბამისად, ამასთან დაკავშირებით იგეგმება, როგორც ინფრასტრუქტურული პროექტები,ასევე გარევაჭრობის პრობლემის გადაწყვეტა. შემუშავებული გვაქვს წინასწარი სქემა ამასთან დაკავშირებით მერიასთან შეთანხმებით. დაგეგმილია შიდა სამღებრო სამუშაოები, ვთანამშრომლობთ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან. ამუშავდება ყველა ატრაქციონი, რომელიც დღემდე გაჩერებული იყო. ვგეგმავთ საბავშვო ატრაქციონის, ე.წ გემის შეცვლას, რომელიც საკმაოდ მოძველდა. თუ არ გამოვცვალეთ მას ვერ გავუშვებთ ექსპლოატაციაში. მოკლედ, განსახორციელებელი სამუშაოები საკმაოდაა. ამ ყველაფერში დიდი თანადგომა გვაქვს მუნიციპალიტეტის მერიის და პირადად მერის ბატონ ოთარ არბოლიშვილის მხრიდან.

**● პანდემიიდან გამომდინარე, ორი წლის მანძილზე, პარკში შესვლა ვიზიტორებისათვის უფასო იყო. 2022 წელს ბილეთის ტარიფთან დაკავშირებით ცვლილებებია. რა ცვლილებებზეა საუბარი, დეტალურად რომ გვითხრათ?**

- დიახ, ორი წლის განმავლობაში ნამდვილად უფასოდ შეეძლო ნებისმიერ დამთვალიერებელს პარკში შემოსვლა, თუმცა 2022 წლიდან ამოქმედდა ახალი ტარიფები. უცხოელი ვიზიტორებისათვის 5 ლარია, საქართველოს მოქალაქეებზე 2 ლარი, ხოლო ბორჯომში მცხოვრებთათვის პარკში შესვლა უფასოა. ასევე მოქმედებს შეღავათები გარკვეული კატეგორიის პირებზე და ესენი არიან: 8 წლამდე ბავშვები, პენსიონერები, შშმ პირები, ომის ვეტერანები, სოციალურად დაუცველი პირები, 50 პროცენტიანი ფასდაკლება ხორციელდება 16 წლამდე საქართველოს მოქალაქეებზე.

**● პარკის ტერიტორიაზე მდებარე კვების ობიექტებთან დაკავშირებით თუ აპირებთ რაიმე სახის ცვლილებებს, თუ ისევ ძველებურად დარჩება?**

- ეს ისტორიული პარკისთვის ნამდვილად მტკივნეულ საკითხს წარმოადგენდა, თუმცა, 2022 წლიდან - გვაქვს შემუშავებული გეგმა და მერიასთან შეთანხმებით პარკის ტერიტორიაზე მოხდება რამდენიმე ლოკაციის გამოყოფა, სადაც სტანდარტული სახის ჯიხურებს დავდგამთ და მოხდება ამ ჯიხურების იჯარით გადაცემა. აქამდე როგორც იყო ისე ნამდვილად აღარ იქნება.

**● წლების მანძილზე დამსვენებლები სერიოზულ პრეტენზიებს აცხადებდნენ პარკის ტერიტორიაზე უპატრონო ცხოველების (ძაღლების) უთავბოლო ხეტიალის გამო. სიტუაცია წელსაც არ შეცვლილა. რას ითვალისწინებთ ზემოთ აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტის გათვალისწინებით პარკში სანიმუშო წესრიგისათვის?**

- ეს პრობლემა დღის წესრიგში დგას, როგორც რაიონისთვის, ასევე მთელი პარკის ადმინისტრაციისთვის. გვაქვს კომუნიკაცია ადგილობრივი მუნიციპალიტეტის სამსახურთან და არსებულ საკითხთან დაკავშირებით ფიქრობენ, რომ გამოყონ ტერიტორია უპატრონო ცხოველებისთვის. როდესაც ვიზიტორთა ჯგუფი შემოდის, ჩვენ გვიწევს გაყოლა, რათა ცხოველებმა არაფერი დაუშაონ. აქამდე ჩვენი ძალებით ვებრძოდით ამ პრობლემას. იმედს ვიტოვებთ, რომ 2022 წლიდან ეს პრობლემა სრულად აღმოიფხვრება.

**● კიდევ რა სახის სამუშაოების ჩატარება იგეგმება ცენტრალურ ისტორიულ პარკში?**

ვგეგმავთ, რომ სამომავლოდ უნდა შევიძინოთ ერთი ატრაქციონი და დანარჩენს რაც შეეხება, მომავალი გვიჩვენებს. მაქსიმალურად ვცდილობთ, რომ პარკის სეზონის ოფიციალურ გახსნამდე ჩვენს ვიზიტორებს ყველანაირად მომზადებულები დავხვდეთ, ამისათვის არ დავიშურებთ ძალას და ენერგიას, როგორც პირადად მე, ასევე ჩემი გუნდი.

**ესაუბრა ნატო მელიქიძე**

# საპენსიო სესხის პროცენტი 26-ზე მეტი აღარ იქნება



**მოკლედ ვიტყვი. საპენსიო სესხი ღირს 30,6% (ეფექტური). პოლიტიკოსებმა რეკლამები ატრიალეს, კომისია შექმნეს - ასე ვუზავთ ისე ვუზავთო და 6 თვიანი მუშაობის შედეგად დღეს პენსიონერებს ახარეს, სესხის საპროცენტო განაკვეთი 26%-მდე დაიწევსო. თან საუბარია ნომინალურ 26%, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დათვლის შემთხვევაში, კიდევ უფრო გაიზრდება. პლიუს პენსიების დარიგების სუბსიდირებას სახელმწიფო ბიუჯეტი უზრუნველყოფს 15 მილიონი ლარით. რამდენად სასიხარულოა ეს ფაქტი თავად განსაჯეთ.**

**პოპულიზმი დაგვღუპავს. ჯერ ღია კარი ამტვრიეს, ვითომ ძალიან გაზრდილ საპროცენტო განაკვეთებს ებრძოდნენ. შემდეგ პენსიების მომსახურება ბიუჯეტს გაუძვირეს 15 მილიონი ლარით და ახლა ხალხს ეუბნებიან, გაიხარეთ, სესხი გაიაფდება 26%-მდეო. და რომ აიღებს პენსიონერი საბოლოოდ ამ ახალი პირობებით სესხს, მაშინ ხომ მაინც მიხვდება, რომ არაფერი გაიაფებულა, აი მერე რას ვშვებით?!**

**ამას ემატება ისიც, რომ საერთოდ ეს საპენსიო სესხების ახალი პირობები შეიძლება უინტერესო აღმოჩნდეს ბანკებისთვის - ასეთ შემთხვევაში ვინ იღებს პასუხისმგებლობას?**

**მერაბ ჯანიაშვილი,**
ანალიტიკოსი

### პოეზიის კუთხე

# თემურ წიკლაურს

**(გახსენება, - რექვიემი)**



ყველა სამრეკლო უფლის ნებით გუგუნებს, მოსთქვამს,
„გოდების კედელს"" თვითონ სცვივა ცრემლები უხმოდ,
არწივთა გლოვა ჯერ არ ახსოვთ "„მეფეთა"" მოდგმას,
- ფრთებმოტეხილი არწივი კი ანგელოზს უხმობს!..
ფილარმონიის დიდ დარბაზში ჩავარდა სცენა,..
წითელ როიალს კლავიშები ამოეცალა,
კონფერანსიეს დაუმუნჯდა მწუხარე ენა,
- „"არწივთ სამეფოს"" წიკლაური გამოეცალა!..
არგონავტების აფრა იწვის, ოქროს საწმისით,
"სნეულთ დედოფალს" - კოლხ მედეას გული წასვლია:
..." რატომ ვერ შესძლეს დასტაქრებმა გარანტი "ფიცის?!."
- ალბათ წამალს და ჰიპოკრატეს დრონი გასვლია!
ცა უფირუზო არ არსებობს, არც უარწივო,..
- ალგეთს მგლის ლეკვებს რა გამოლევს, ან ირმებს ფშავში?!.
ქართლისა დედამ ხელში ხმალი მაღლა ასწიოს,
გზა დაულოცოს შვილს „"ცისაკენ"" - ჩაცმულმა შავში!

**რუსლან ჯანიძე** (ბორჯომი)
02.02.2021

# ბორჯომის საპატიო მოქალაქეებს!



დღეს შეკრებილხართ
და მსჯელობთ,
ალბათ ბევრიც გაქვთ
სათქმელი,
საამაყოა დაგქონდეთ
ბორჯომელობის სახელი.
ქალაქის ქუჩებს ამშვენებთ,
ვიცი, საქმეც გაქვთ საქები,
ღირსეულების ხვედრია,
კაცი რომ ფასობს სახელით.
ქალაქს უხდება ქუჩებში,
კაცი რომ დადის კაცური,
აწმყო რომ გაულამაზოს,
არ დაივიწყოს წარსული.

ჩვენს ქალაქს ყოველდღიური,
მოვლა და ზრუნვა სჭირდება,
უყურადღებო პატრონით
ნამდვილად გაუჭირდება.
მონიჭებული ტიტული
გისურვებთ დიდხანს ატაროთ,
მომავალ ახალგაზრდობას
ქალაქზე ზრუნვა ასწავლოთ.
მაშ, გული გქონდეთ ხალასი,
პატრიოტობა გშვენოდეთ
და სასარგებლო საქმისთვის
თვით ღვთისმშობელი
გშველოდეთ!

**იზო სარქისიანი**

# საერთაშორისო შეჯიბრი ბაკურიანში

**19-20 თებერვალს** ბაკურიანში საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციის (FIS) ეგიდით გაიმართა ევროპის თასის ეტაპი პარალელურ გიგანტურ სლალომში. კურორტს ჯამში 40-მდე ქვეყნის (ავსტრია, გერმანია, ავსტრალია,იტალია, შვეიცარია და სხვ.) წარმომადგენელი და 400-მდე სპორტსმენი და ჟურნალისტი ეწვია. მონაწილეთა შორის გახლდათ წლევანდელი პეკინის ოლიმპიადის ოქროსმედალოსანი ავსტრიელი სნოუბორდელი ბენჯამინ კარლი. შეჯიბრში მხოლოდ ერთი ქართველი სპორტსმენი მონაწილეობდა - რევაზ ნაზღაიძე. საპრიზო ადგილები როგორც მამაკაცებს, ასევე ქალთა შორის ავსტრიის, გერმანიის და შვეიცარიის წარმომადგენლებმა გაინაწილეს.

- ძალიან კმაყოფილები ვართ შეჯიბრით ჩვენც და საერთაშორისო ფედერაციაც, - აღნიშნავს შპს „ემ თი ეი"-ს (ყოფილი მთის კურორტების განვითარების სააგენტო) დირექტორი **ირაკლი ჭირაქაძე,** - მარტო ის ფაქტი, რომ შეჯიბრის შემდეგ ავსტრიის ნაკრები ბაკურიანში დარჩა ვარჯიშის გასაგრძელებლად, ძალიან ბევრის მთქმელია. ტრასები ბრწყინვალედ არის მომზადებული.

- დღევანდელი დღე და 3-6 მარტი ბაკურიანისთვის ძალიან დიდი გამოწვევაა, რადგან მსოფლიო და ევროპის თასის ეტაპები ტარდება. სტუმარი ბევრი გვყავს - მონაწილეები, მედიასაშუალებების წარმომადგენლები და სხვ. ამინდმაც ხელი შეგვიწყო. საშეჯიბრო ტრასა და ინფრასტრუქტურა მსოფლიო დონის სტანდარტებს შეესაბამება. ხშირად ვსტუმრობ ევროპის სათხილამურო კურორტებს და არაფრით ჩამოუვარდება ბაკურიანი მათ. ამ ტესტს დარწმუნებული ვარ ჩავაბარებთ და 2023 წლის მსოფლიო ჩემპიონატს ღირსეულად ვუმასპინძლებთ. ეს ასმაგად გაზრდის ბაკურიანის პოპულარობას მსოფლიო მასშტაბით. რაც შეეხება ჩვენს სააგენტოს და ადგილობრივ ხელმძღვანელობას, მაქსიმალურად ჩართულები ვართ ორგანიზაციის სა-



კითხებში, ადამიანური რესურსი იქნება ეს თუ სატრანსპორტო საშუალებები. ათი ერთეული საზოგადოებრივი ტრანსპორტის სრული დატვირთვით მუშაობს დიდველი-კოხტა-წრიულის მიმართულებით და გვესმის კიდევაც მომხმარებლების დადებითი გამოხმაურებები ამის თაობაზე. როგორც იცით. მგზავრობა უფასოა. ჩვენ გვეხება ასევე მყარი ნარჩენების გატანა, გზების მოვლა. ყინულისაგან გავწმინდეთ და გავაფართოვეთ ცენტრალური გზა. დარწმუნებულები ვართ, რომ ეს შეჯიბრი პოზიტიურ რეზონანსს გამოიწვევს როგორც ჩვენს ქვეყანაში ასევე მის ფარგლებს გარეთაც, - აღნიშნა სსიპ ბაკურიანის განვითარების სააგენტოს უფროსმა **ეკა ორჯონიკიძემ.**

შეჯიბრებები საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, შპს „ემ თი ეი"-ს და საქართველოს სათხილამურო ფედერაციის ორგანიზებით გაიმართა.

**რუსუდან სხირტლაძე**

### კოვიდთან მებრძოლები

# ერთად გავუმკლავდეთ!

**ექთანი მაია ჭოლაძე:** - ბავშვობაში, ბებო ამოიღებდა ხოლმე ბაბუს გაცრეცილ წერილებს და მიკითხავდა. სიტყვები არ მახსოვს, თუმცა მახსოვს ბებოს სახე, მისი ემოცია, პატარა გოგოს ემსგავსებოდა და გარშემო ყველაფერი ავიწყდებოდა...




ახლა, როცა თქვენთვის ჩემი განცდების გაზიარება გადავწყვიტე, ამბის თხრობას იმ წერილების გახსენებით ვიწყებ, რომელთაც განსაკუთრებით ვუფრთხილდები და პატარა ბავშვივით ვაგროვებ... ჩემი პაციენტების აკანკალებული, ძალაგამოლეული, მაგრამ ყველაზე ნამდვილი, გულწრფელი სიყვარულით მოწერილი წერილების... თუნდაც, მხოლოდ ამისთვის ღირს ამ ბრძოლაში ჩართვა - გამძლეობის, სიმტკიცის, მოთმინების, გამბედაობისა და უშიშარი, უდრეკი ბუნების გამოვლენა...

არ მავიწყდება 83 წლის მძიმე პაციენტი, რომელიც, ჩურჩულით, ძლივს მაგებინებდა სათქმელს. 20 დღის განმავლობაში ერთად ვიბრძოდით, ჩვენი ენაც გამოვიგონეთ, ერთმანეთს მივენდეთ და ეს მძიმე დღეები ასე, მხოლოდ ერთმანეთის თანადგომით, გამოვიარეთ. გაწერის დღეს, პატარა ბიჭივით ენერგიამოზღვავებული ემზადებოდა შვილებთან, შვილიშვილებსა და შვილთაშვილებთან შესახვედრად. სიხარულისგან იმდენად აჟიტირებული იყო, სავარძელშიც არ ჩაგვასმევინა თავი, პალატიდან ფეხით ისე გაიქცა, დამშვიდობებაც დაავიწყდა. ემოცია ვერ შევიკავე და გავძახე - „ბაბუ, ჩვენ ძალიან მოგვენატრები-მეთქი" - უცებ, ამხელა კაცი, პატარა ბავშვივით აქვითინდა, მომეხვია და სიყვარულით სავსე თვალებით იმაზე უფრო მეტად მომეფერა, ვიდრე ამ სიტყვებით, - „შვილო, რომ გავალ, იცი რას მოვყვები? ვიტყვი, 83 წლის ასაკში მეოთხე შვილი შემეძინა-მეთქი. არა, მეოთხე კი არა, მგონი, პირველი ხარ შვილოო", - ასე მითხრა... ვილაცისთვის ეს შეიძლება უბრალო სიტყვებია, ერთი ჩვეულებრივი ამბავი, მაგრამ, როდესაც აღარც დღე, არც ღამე, არც დასვენება და აღარც ოჯახის წევრები არ არსებობენ ჩვენთვის, ეს მადლიერების გრძნობა და ერთად მიღწეული გამარჯვება, თავიდან მოგებული ომია! ერთიც მინდა გითხრათ, ბაბუ შემპირდა, საჩუქარსაც გაგიკეთებ და თავს შენ აგაცრევინებო...

ეს ზღაპრის მსგავსი ისტორიები ჩვენი ცხოვრების ყველაზე ბედნიერ, ხანდახან კი მძიმე და ტრაგიკულ წუთებად გროვდება... ჰოდა, მოგვეცით თქვენი გადარჩენის უფლება, ერთად გავუმკლავდეთ!!!

„ერთად გავუმკლავდეთ" - ამ მოწოდების გარშემო გაერთიანდნენ პანდემიასთან შერკინების წინა ხაზზე მებრძოლი ადამიანები, რომელთაც ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო წარმოგიდგენთ. „კოვიდთან მებრძოლები" და მათი მონათხრობი - ესაა ნამდვილი ისტორიები, რომლებიც უხილავ მტერთან ბრძოლისა და თავდადების ამბავს ასახავს. ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს პროექტი - „ერთად გავუმკლავდეთ" - კოვიდვაქცინაციის პოპულარიზაციასა და სამედიცინო პერსონალის მხარდაჭერას ემსახურება.

**ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო**

# მიმდინარეობს მასშტაბური საგაზაფხულო დასუფთავების სამუშაოები




**ბორჯომის** მუნიციპალიტეტის „დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური" მუნიციპალიტეტში მაშტაბურ საგაზაფხულო დასუფთავების სამუშაოებს ახორციელებს.

ინტენსიურ რეჟიმში ხდება საფეხმავლო ბილიკებისა და მუნიციპალიტეტის მასშტაბით, ავტომოსაცდელების, მოაჯირებისა და ურნების რეცხვა. ასევე, ბორჯომში მოსული უხვი ნალექის გამო, ქვა-ღორღისაგან იწმინდება ქალაქის ქუჩები.

# არჩილ ზუმბულიძის გახსენება



**24 თებერვალს ერთი წელი შესრულდება, რაც ჩვენთან აღარ ხარ. შენ ჩემი მოუშუშებელი და მოურჩენელი ჭრილობა ხარ. ყველას ახსოვხარ: ახლობლებს, ნათესავებს, მეზობლებს, კოლეგებს, მეგობრებს. ყოველთვის გვემახსოვრები.**

**ნათელში იყავ, ჩემო ძვირფასო ვაჟკაცო. მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი მშობლიური ბორჯომის მიწა.**

**დედა გალინა ზუმბულიძე**

# ზურა აივაზოვის გახსენება



**19 თებერვალს, ტკივილით სავსე სამი წელი გავიდა უშენოდ მამი... უფერული და უხალისოა უშენოდ ყოფნა ჩვენთვის... ყველას გვამჩნევია შენი არყოფნის იარა... შენ ხომ სხვანაირი სიყვარულით, სიძლიერითა და სითბოთი გვავსებდი ყველას... შენ ჩვენი ძალა და დიდი იმედი იყავი... ამბობენ, დრო ყველაფრის მკურნალიაო... დრო ვერაფერს აკლებს იმ ტკივილს, რასაც შენი არყოფნით ვგრძნობთ... მონატრებაა ის გრძნობა, რომელიც ყოველ წუთს გვაფიქრებს შენზე... სანუგეშოდ ის ლამაზი მომენტებია, რომლებიც შენს სურათებზე დაგვრჩა აბეჭდილი. ძალიან გვახარებს, როცა სიზმრებში გხედავთ... შენ ახლა ჩვენს კეთილ ანგელოზად იქეცი სიზმრებში... გვიყვარხარ და გვენატრები უსაზღვროდ... უფალს ებარებოდეს შენი ლამაზი, კეთილი სული...**

**შენი ოჯახი**

# ნინო ქარჩავას გახსენება



**ნინო ქარჩავა 23 თებერვალს ოცდაცამეტი წლის გახდებოდა. მუდამ გვემახსოვრება მისი გაცისკროვნებული ღიმილი. ღმერთს ებარებოდეს შენი სპეტაკი სული. ჩვენ კი მუდამ ვილოცებთ შენთვის.**

**დედა და ოჯახის წევრები**

### წერილი რედაქციას



## მადლობა მრავალწლიანი პრობლემის მოგვარებისათვის

**ანდეზიტის** საჯარო სკოლის დირექტორი და პედაგოგები ულრმეს მადლობას უცხადებენ ღირსეულ პიროვნებებს, ვინც მრავალწლიანი პრობლემა მოაგვარა ამ კონკრეტულ თემში. კერძოდ, ეს ეხება საზოგადოებრივი ტრასპორტის დანიშვნას ბაკურიანსა და მის მიმდებარედ არსებულ სოფლებში. ამ სურვილის ახდენაში უდიდესი წვლილი მიუძღვით ბაკურიანის თემის უფროს სპეციალისტს, ბატონ **თედორე სამსონიძეს**, ბაკურიანის გამგებელს - **ქეთევან ლონდარიძეს**, განსაკუთრებულ მადლიერებას გამოვთქვამთ საქმისადმი მუდამ სათანადო დამოკიდებულების მქონე პიროვნების მიმართ - ბაკურიანის განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელის **ეკატერინე ორჯონიკიძის** მიმართ, რომელმაც არ დაიშურა მონდომება და მხარდაჭერა ამ, ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი საკითხის სასიკეთოდ გადაწყვეტასა და აღსრულებაში.

**ანდეზიტის საჯარო სკოლა**

ბორჯომის დავით აღმაშენებლის ქ. №35 ბინის მცხოვრები მეზობლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ნიკო ბოსტოღანაშვილი**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მეზობლები: ს. ლომიძე, ი. გელაშვილი, გ. ყიფიანი, ა. ნადაშვილი, თ. გოგოლაძე, მ. სოლოღაშვილი, მ. დემიდენკო, მ. ახვლედიანი, დ. ალექსანიანი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გიული თედიაშვილი**

თამაზ ურუშაძე, ნოდარ ნოზაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი, ყოფილი კურორტის პოლიკლინიკის მთავარი ექიმი, ბორჯომის ინტელიგენციის ღირსეული წარმომადგენელი ქალბატონი

**ნელი ამაშუკელი**

და სამძიმარს უცხადებენ მის მეგობრებს და ახლობლებს.



ჯამბულ ღონღაძე, ვალერი გოგოლაძე, ზაური შერგელაშვილი, ელგუჯა ორჯონიკიძე, ვალერიან ლომიძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ბორჯომის ინტელიგენციის ღირსეული წევრი ქალბატონი

**ნელი ამაშუკელი**

გოგიტა ტალახაძე, ლევან ლეკიშვილი, ნანა ნოზაძე, ზურაბ ხვინგია, ომარ კიკაძე, ავთო ხრიკაძე, ნინო იმედიძე ვუსამძიმრებთ მაყვალა კობიძეს მამიდაშვილის

**ნელი ამაშუკელის**

გარდაცვალების გამო.

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59
რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.
გაზეთის დამფუძნებელია რედაქციის კოლექტივი.
მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის ქ.№2. ტელ: 22-29-65. იბეჭდება შპს გამომცემლობა „საარში". ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის ქ.№57.
borjomi@inbox.ru
რედაქტორი: ვალერიან ლომიძე